კომუნიკაციურ-ენობრივი განვითარების როლი გონების თეორიის ჩამოყალიბების პროცესში ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებში

ელენე ბაჩიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, კომუნიკაციის ენისა და მეტყველების თერპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე ბაჩიაშვილი, 2021 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია გონების თეორიის და კომუნიკაციურ-ენობრივი განვითარების, კერძოდ პრაგმატული პროფილის ურთიერთმიმართება. იქიდან გამომდინარე, რომ სხვისი პერსპექტივის, ემოციების, აზრების, დამოკიდებულებების და ზოგადი კონტექსტუალური მახასიათებლების გაგება/გათვალისწინება მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციისთვის და წარმატებული ინტერპერსონალური ურთიერთობებისათვის, აუცილებელია ადრეულ ასაკში, როცა ეს უნარები ყალიბდება, აქცენტი გაკეთდეს იმ მახასიათებლებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის სოციალურ-ენობრივ განვითარებას. მოცემული კვლევის მიზანი იყო დაედგინა არსებობს თუ არა და არსებობის შემთხვევაში, რა სახის კავშირია გონების თეორიასა და ენის პრაგმატულ განვითარებას შორის. ასევე განსხვავდებიან თუ არა ტიპური განვითარების მქონე ბავშვები ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევა/შეფერხების მქონე ბავშვებისგან აღნიშნული ცვლადების მიხედვით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 30-მა ბავშვმა და მათმა მშობლებმა. აქედან 15 წარმოადგენდა ტიპური განვითარების, ხოლო 15 ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევა/შეფერხების მქონე ბავშვებს. მონაწილეთა ასაკი მერყეობდა 4-დან 6 წლამდე. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარი(პრაგმატული პროფილი) და ცრუ რწმენების დავალება(False Belief Task). კვლევის შედეგებმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი გონების თეორიასა და პრაგმატული პროფილის ერთ კომპონენტს(კომუნიკაციაზე პასუხი) შორის. შედეგების მიხედვით, გამოვლინდა ჯგუფებს შორის გონების თეორიისა და პრაგმატული პროფილის საშუალო ქულებს შორის სხვაობა(მაღალი საშუალო ქულით ხასიათდება ტიპური განვითარების მქონე ბავშვების ჯგუფი), თუმცა ეს განსხვავებები არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო.

საკვანძო სიტყვები: გონების თეორია; პრაგმატიკა; ენობრივი განვითარება; ცრუ რწმენების დავალება;